

საქართველოს ორგანული კანონი

„საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 5, მარტი, 1993 წელი, მუხ. 66) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საკითხის თაობაზე განცხადება დაინტერესებულ პირს შეაქვს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში ან შესაბამის ქვეყანაში არსებულ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში.“

2. 34-ე მუხლს დამატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება შეიძლება განხორციელდეს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის დაუცველად.“

3. 36-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს მოქალაქეობის საკითხებზე განცხადებასა და წარდგინებას წინასწარ განიხილავს და მასალებს ამზადებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევისა. დასკვნას მოქალაქეობის საკითხთა წინასწარი განხილვის თაობაზე ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი.“

4. 36-ე მუხლს დამატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹ ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხს წინასწარ იხილავს და მასალებს ამზადებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო შესაბამის ქვეყანაში არსებული საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო

დაწესებულების წარდგინებით. დასკვნას მოქალაქეობის საკითხთა წინასწარი განხილვის თაობაზე ამტკიცებს საგარეო საქმეთა მინისტრი“.

5. 38-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

6. მე-40 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 40. სახელმწიფო ბაჟი

1. მოქალაქეობის საკითხებზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი იხდის სახელმწიფო ბაჟს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ოდენობითა და წესით, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. თუ პირმა საქართველოს მოქალაქეობა დაკარგა არამართლზომიერად, მოქალაქეობის აღდგენის შესახებ განცხადების შეტანისას თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ ხაკაშვილი